ხელშეკრულება N 29
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

19 ოქტომბერი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს [1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ხელვაჩაურის რესურსცენტრი (საიდენტიფიკაციო N248420597) წარმოდგენილი მისი უფროსის ნევრესტან დიდმანიძე სახით - (შემდგომში შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია გაზი" (საიდენტიფიკაციო N202403121) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ლეკიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისა და სამშენებლო-საპროექტო ხარჯთაღრიცის მომზადებაში გარე ქსელზე(cpv 45300000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მომსახურების ღირებულება გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს;

1.3. მომსახურეობის ერთეულის ფასი განისაზღვრება სემეკის მე-12 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

2.მომსახურების მიღება – ჩაბარება

2.1. 1 შემსყიდველის მოთხოვნიდან მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მომსახურეობა 40 კალენდარული დღის განმავლობაში არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა;

2.2. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდეგ;

2.3. მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

2.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს დაწუნებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება -ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებამ მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შესასრულის მომსახურეობა სრულყოფილად;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შესასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოვადოს მისალები მომსახურების ხარისხი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი დაწესებული მომსახურეობის ხარისხი.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ აითვისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10.5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელი ეშალ ქოქოლაძე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მიმწოდებელი

SOCAR GEORGIA GAS

16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგრის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" და „მიმწოდებელთან".

16.2 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 , რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

17. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ხელვაჩაურის რესურსცენტრი მისამართი ბათუმი დიდუჭარის ქ. 23 ს/კ 248420597 მიმღები ბანკი ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი : LBRTGE22	შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი" მისამართი ბათუმი, ბარათაშვილის 20 ს/კ 204031121 მიმღები ბანკი: საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის GE 51BG0000000233446203
აჭარის ხაზინა შიფრი 37	
რესურსცენტრის უფროსი	დირექტორი
წვერესტან დიდმანიძე	დავით ლეკიშვილი

დაკვეთა № I-SGG-B-GR-2015-9-10/114

ლოკალურ–რესურსული ხარჯთაღრიცხვა (გარე ქსელი)

ობიექტის დასახელება: ქობულეთი დიდაჭარის ქუჩა №23 "ხელვაჩაურის რესურსცენტრი" საშენებლო-საპროექტო ხარჯთაღრიცხვა

თარიღი: 5/10/2015

№		სამუშაოების და დანამატების დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ხარჯთაღრიცხვო ღირებულება მიმდინარე დონეზე			
					განზ. ერთ	მთლიანი	მაი შორის	
							ხელფასი	შენაერთების სხვა მასალები
1	2	3	4	5	6	7	8	9
		საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ფოლადის გაზსადენზე	გრძმ	1.5	1.3	1.95	1.8525	0.0975
		საპროექტო თანხა			ჯამი	2.0	1.9	0.10
	საბაზრო	ლითონის ონკანი დ=20მმ ღირებულება	კომპლ	1	12.04	12.04		12.04
		ფოლადის მილი დ=20მმ მონტაჟი	გრძმ	1.5	4	6.0	5.3	0.8
	საბაზრო	ფოლადის მილი დ=20მმ ღირებულება	გრძმ	1.5	2.71	4.1		4.1
	საბაზრო	ფოლადის მუხლი დ=20მმ ღირებულება	ც	3	1.10	3.3		3.3
		წნევის რეგულატორი elster-ის მონტაჟი	ც	1	15	15	10	5
	საბაზრო	წნევის რეგულატორი elster-ის ღირებულება	ც	1	100.05	100.05		100.05
	საბაზრო	წნევის რეგულატორის ყუთი	ც	1	25.30	25.30		25.30
		მრიცხველი დაბ/წნ G-4 T მონტაჟი	ც	1	35.36	35.36	25	10.36
	საბაზრო	მრიცხველი დაბ/წნ G-4 T ღირებ.	ც	1	69.93	69.93		69.93
	საბაზრო	მრიცხველი დაბ/წნ G-4 T გადამყვანი კომპლექტი ღირებ.	კომპ.	2	5.06	10.12		10.12
	საბაზრო	მრიცხველი დაბ/წნ G-4 T ღირებ. ყუთით.	ც	1	25.91	25.91		25.91
	საბაზრო	მრიცხველი დაბ/წნ G-4 T ონკანი დ 15 ღირებ.	ც	1	7.42	7.42		7.42
		არსებულ გაზსადენზე მიერთება ხ/წ d=40-ლან d=50-მდე	ც	1	48.82	48.82	35.00	13.82
		საღებავის და გამხსნელის ღირებულება	მ2	0.3	1.28	0.38	0.00	0.38
		მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვა	ლარი			5.00	5.00	
					ჯამი	370.65	82.1	288.55
		სატრანსპორტო ხარჯი	3.0%			11.1		11.12
					ჯამი:	381.77	82.1	299.67
		ზედნადები ხარჯები	13.5%			51.54		
					ჯამი:	433.31		
		გეგმიური დაგროვება	11%			47.66		
					ჯამი:	480.97		
		დღგ	18%			86.57		
					ჯამი:	567.55		

პროექტირება — ლ. ნაკაშიძე

შესრულებელი — ვ. ჭურკვეიძე

შეთანხმება (ნორმალური) — ჯ. გუჯაბიძე

საპროექტო ჯგუფი უფროსი — ი.ბურჭულაძე

400 კგ

ვარ 1/10 კგ